ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990133749158219

№ **659** **26 / ივლისი / 2019 წ.**

2019 წლის 2-4 აგვისტოს, ქ. ყვარელში, „ილიას ტბაზე“ გასამართ სპორტულ კვირეულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებაზე საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის პროექტის - საქველმოქმედო შეჯიბრი ‘სლალომის სახეობაში“ და გადარბენა თბილისი-ყვარელი 2019 წლის 3 აგვისტოს, სლოგანით: „არ დაგტოვებ მარტო“! ექსკლუზიური უფლებამოსილებით შესყიდვის გამარტივებული საშუალებით განხორციელების შესახებ

2019 წლის 2-4 აგვისტოს, ქ. ყვარელში, „ილიას ტბაზე“ სპორტული კვირეულის ღონისძიებასთან დაკავშირებით დაგეგმილია საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის პროექტი -საქველმოქმედო შეჯიბრი ‘სლალომის სახეობაში“ და გადარბენა თბილისი-ყვარელი 2019 წლის 3 აგვისტოს, სლოგანით: „არ დაგტოვებ მარტო“!, ექსკლუზიური უფლებამოსილებით შესყიდვის გამარტივებული საშუალებით განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მესამე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის პროექტის საქველმოქმედო შეჯიბრი ‘სლალომის სახეობაში“ და გადარბენა თბილისი-ყვარელი 2019 წლის 3 აგვისტოს, სლოგანით: „არ დაგტოვებ მარტო“! მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს ექსკლუზიური უფლებამოსილებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან დადგენილი წესით შეთანხმების შემდეგ აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია არაუმეტეს 7898 (შვიდიათასრვაასოთხმოცდათვრამეტი) ლარის გამოყოფა.

2.დაევალოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილებას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეათანხმოს, ექსკლუზიური

უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ მერიის წინადადება.

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

როსტომ სესიაშვილი